№ 150. 18 ივლისი, შაბათი. 1866 — 1881 18 ივლისი, შაბათი. № 150.

რედაქცია

გალავნის პროსპექტზეთ. ივ. მუსრანსკის სახლებში კლუბის ქვეშთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში-ივერიის“ აგენტთან ბ. ჭეონიასთან ხიდასზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3თვეს

დროებაში“ და „ივერიაში“ ერთად 14 მან. . . 8 ვ. . 5 ვ.
ცალკე { „დროებაში“. . . . . 9 მან. . . 5 ვ. . 3 ვ.
{ „ივერიაში“. . . . . 7 მან. . . 4 ვ. . 2 ვ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასტრიქონი (ერთ-ერთ ასოი თოთხრულით ასოზე ნახევარი ადგ.) ერთ-ერთ ასოთ ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია კაბარეტებს და შეკმაულებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და უბეჭდელ წერილს რედაქცია უარტოთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„ივერიის“ აგენტთან.

ბოლოკანაფერი „დროებისა“ დიდს 5 კაპ.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ცალკე ღირს — სუთი მანეთი

ივერია

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუსრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ბ. ილია ჭეონიასთან (სიდასზე, მირიან ჭეონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ვისაც 5 მანეთის მეტი არ შემოუტანია რედაქციაში გაზეთის ფული, 1 ივლისიდამ მოესპობათ გაზეთის გზავნა.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

ტელეგრამმები

(„ახალთა-ბორის ტელეგრაფის ხაგენტობა“)

პეტერბურღი, 15 ივლისს. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე, თანახმად სურვილისა, ოფიციალურ უმოწყალესად დათხოვნილია სახელმწიფო რჩევის თავმჯდომარეობიდამ და მგრეოვე: სამხედრო სამსახურისთვის დაწესებული ცალკე ბრისუსტვიის თავმჯდომარეობიდამ; სასოფლო მეურნეობისთვის დაწესებულ მთავარ-კომიტეტის თავ-მჯდომარეობიდამ და ფლოტის და ზღვის უწყების მმართველობიდამ. დარჩება იმის წოდება გენერალ-ადმირალისა, გენერალ-ადიუტანტისა და სხვ. თანამდებობაში და წოდებაში, რომელიც იმას აქვს. დიდი მთავარი აღექსი აღექსანდრეს-ძე დანიშნა მთავარ ნაჩალნიკად ფლოტისა და ზღვის უწყებისა, იმ უფლებით, რომელიც გენერალ ადმირალს აქვს.

პეტერბურღი, 15 ივლისს. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლოზის-ძე დანიშნა სახელმწიფო რჩევის თავ-მჯდომარეთ. ეველა თანამდებობა და წოდება, რომელიც დღემდი ჰქონდა მათ უმაღლესობას მასვე დაურჩინეს.

პეტერბურღის ბირჟა, 13 ივლისს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა —	95	— 62
მეორესი — — — —	94	— 50
მესამესი — — — —	94	— 75
მეოთხესი — — —	94	— 25
აღმოსავლეთის პირე. —	92	— „
აღმოსავლეთის მეორე	92	— 12
აღმოსავლეთის მესამე	92	— 12
ოქრო, 1/2 იმპერიალი	7	— 80

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	223	— 25
მეორე სესხის — — —	222	— 25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25	— 21	პენსი
ბერლინი — —	216	— „	ფენიგი
ამბურღი — —	215	— 75	ცენტი
პარიჟი — — —	266	— „	სანტიმი
ავკასიის კერასინი — —	—		

ახალი ამბები.

ბუშინდელი ცნობების დამატება:

ბუშინ-წინდელ ღვარს, რომელზედაც ჩვენ ვწერდით წასრულს №-ში, ბერაზე ორი სახლი დაუქცევია და ბევრგან ქუჩები გაუფუჭებია. მთელი ბუშინდელი დღე 130 თბილისის ქუჩის მწმენდელი მუშები მოსეენებაში არ იყენენ, წარიყული ქუჩების წმედას და დაგუბებული წყლის გზის კეთებას მარტო მოუნდენ...

* * *

მანგლისიდამ სწერენ გაზეთ „ვაკაზს“ რომ იქაც დიდი წვიმა ყოფილა; ტემპერატურა ძლიერ დაწეულა.

* * *

რუსულს გაზეთი „თბილისის განცხადებაში“ სწერს: თბილისის კუპეცმა იაგორ ქასუმოვმა, ბატ. ივ. შადინოვმა და ბათუმის ახლო გამოჩენილი მადნების პატრონმა სიმონიდიმ პირობა შეკრეს, რომ ერთად მოახდინონ მადნეულობის ექსპედიცია.

* * *

სამხრეთ საქართველოსაკენ იმდენი სარგებლობა არ მოუტანია წვე

ბა, რომ ლამის მთეელებს ტყეში სტოვებენ და წვიმის ქვეშ ამყოფებენო და ეკკლესიის გალავანში კი ოთახები ცარიელებიაო.

პასუხი იმისი იყოს, ვისიც რიგია.

„დროების“ კორრესპონდენცია.

რაჭა, 8 ივლისი. რაჭის უეზდში სოფელ ხვანჭკარში, ეს ოთხი წელიწადია, რაც დაარსებულია საამხანაგო ბანკი და, როგორც გვესმის, ადგილობრივ მცხოვრებლებმა ბევრნაირათ გამოიყენეს ეს მშვენიერი საქმე. თუმცა ბოლოს დროს, როგორც საყოველთაოთ, იქაც პარტიობა და კერძოობა გაჩენილა საქმის მოთავეთა შორის, მაინც საქმე ჯერ-ჯეროობით, როგორც ანგარიშები ამტკიცებენ, კარგათ მიდის. ამ ბოლოს დროს, ჩვენ შევიტყეთ ისეთი ამბავი, რომელსაც ადვილათ შეუძლიან ძირიანათ ამოფხრას მნიშვნელობა ამ სასარგებლო საქმისა. ადგილობრივ პოლიციის პრისტავზე, ბ. ჯანელიძეზედ, ამასწინათ გაზეთ „დროებაში“ რაღაც შენიშნვა დაეწერა ვიღაცას. ამ კორრესპონდენციას, ნუ იტყვით, ისე გაუცხარებია ბ. ჯანელიძე, რომ ჩასდგომია კვალში და უთქვამს: „უთოოთ უნდა გავიგო ამ წერილის კორრესპონდენტიო“... ბაიგო ნამდვილათ, თუ მარტო მოსაზრებით, მხოლოთ, როგორც ბოლოს გამოჩნდა, ამ დიდათ გავლენიანმა პრისტავმა, ბრალი დასდო ხვანჭკარის ბანკის მმართველს ბ. ციფიანს. აქედამ იწყება ოინები ამ პრისტავისა; ამ პატივცემულმა ადმინისტრატორმა ბ. ციფიანს კი ვერაფერი გაუბედა, რადგანაც შემძლებელი და გავლენიანი თავადიშვილია და ამაზედ ამოსაყრელი ჯავრი საწყალს გლეხებზედ იყარა. მოაყენა ეს საწყლები და აკეთებინებს ნიკორ-წმინდის გზას, რომლისაც გაკეთება წინდაწინვე დაემუქრებინა, მერე შეუყრია ორ საზოგადოებაში სოფლის ყრილობა და გამოუცხადებია: თუ თქვენ, დღეის იქით გაგიბედავსთ ასრულება ხვანჭკარის ბანკის გამგებლის ციფიანის მრქანებისა, ტყავს გაგაძრობთო. ეს იმგვარი სიტყვებია, რომ მძიმე გამოსათქმელი იყო და ჩვენც ვერც ვიტყოდით, რომ სარწმუნოთ იმისაგან არ ყოფილიყოს ნათქვამი. როგორც შემდეგში შევიტყეთ, თვითონ ბ. ჯანელიძეს, ადგილობრივი მომრიგებელი შუამავლის ბ. ა. ჯაყელის სახლში, როდესაც მრავალნი პირნი დასწრებიან, ეთქვა, რომ „სწორეთ მართლა მე უბრძანე მამასახლისებსო“ არამც-და-არამც არ გადაახდევინოთ ფულები იმ პირებს, ვისაც ამ ზემოხსენებული ბანკისა მართებოდა და თუ გადაახდევინებდენ ბ. ციფიანისთვის არ წარედგინათ.

ვაი თუ ამ გვარი განკარგულებით ბანკის საქმე ჩაიფუშოს.

ს. მართალაძე.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! გუშინდელს 17 ივლისის „დროების“ ახალამბებში დაბეჭდილია პატარა შენიშვნა შესახებ თ. ვ. ო. ლექსების ცალკე გამოცემისა და აგრეთვე ის, თუ რამ „აიძულათ რომ“ პოეტის დიდი სახელი შემოკლებულ თ. ვ. ო—თ ყოფილიყო დაბეჭდილიო.“

ამაზე უნდა მოგახსენო მე, როგორც ამ ლექსების გამომცემმა: ეს თვითონ პოეტმა არ ისურვა, რომ იმის სახელი და გვარი წიგნზე სრულად ყოფილიყო დაბეჭდილი და მეგამომცემს რა შემეძლო მისი სურვილის წინააღმდეგ მისი სახელი და გვარი მრთლად გამომეცხადებინა. ამ გვარადვე მოვიდა რამდენიმე კაცისაგან შენიშვნა, თუ რად გამოეცი ასეო და ბევრნიც ჩემს ნებას და სურვილს აწერენ, მაგრამ ყველას მოვახსენებ აშკარად, რომ ამაში მე სრულიად საქმე არა მაქვს, ეს მხოლოდ თვითონ პოეტის სურვილი იყო...

ფ. ჭიჭინაძე.

17 მკათათვეს

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიქიდამ იწერება **რუსკი ჟურიერის** კორრესპონდენტი, რომ მარიამობისთვეში შერბურღში იქნება სამხედრო ხომალდების დანადგა.

— **ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოს** სწერენ პარიქიდამ, რომ ახალი აღმორჩევები პალატაში, როგორც ამბობენ, დაიწყება 21 მომავალ მარიამობისთვეს.

— იგივე სააგენტო გვაცნობებს, რომ სენატს მიუღია ჯარის ადმინისტრაციული ახალი განწყობილება. შემოდგომისათვის აპირებენ ბუ-ამების წინააღმდეგ ჯარების გაგზავნას, რომელიც გაყოფილი იქნება სამ ნაწილად; ხუთი ათას კაცამდის, რომელნიც შეჩვეულნი არიან ადგილობრივ ბუნებას, გავლენ ზოგი ჟერვილიდამ, ზოგი საიდიდამ და დანარჩენი სებდუდამ და შეერთდებიან ბიშურის მაზრაში.

— როგორც იწერებიან ალჟირიდამ და თუნისიდამ პარიქში, ამ უკანასკნელ დროს ამ ადგილებში მშვიდობიანობა სულ [illegible] და [illegible] მყარდება.

ინგლისი. ლონდონიდამ იწერებიან, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა გაცხარებული მიწერ-მოწერა არისო ტრიპოლისის შესახებ.

— მინისტრი ბრენვილი სთხოვს საფრანგეთს თავი დაანებოს ტრიპოლისში გალაშქრებას.

ბულგარია. ლონდონის გაზეთს „*Times*“ სწერენ დეპეშით ქ. სოფიიდამ, 8 ივლისს: უცხო საქმეთა წინანდელი მინისტრი ანკოვი და სლავეიკოვი გუშინ დილით დაატუსაღეს ქ. პლევნაში.

ოსმალეთი. მთავრობამ გაგზავნა ტრიპოლისში დასახმარებლად ახალი ჯარი ხომალდებით.

— მითხად-ფაშა, როგორც სწერენ, ავათ არის; ჩვეულებრივი ნებიერების მოკლებამ და შიშმა არ მომწამლონო, მისი გასამართლების შემდეგ, ძრიელ დაავადნა და ჩაგდო სისუსტეში. მეგობრები შიშობენ, რომ ვერ აიტანს რამაზანის მარხვასო, რომელიც ეალდებულია მტკიცედ შეინახოს მითხადმა, როგორც კალიფის (სულთნის) ტყვემ.

თელავის სასულ. სასწავლებლი

ან რომ ავი არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგ სასულად რა დავარქო?

დ. ბ. ბურაბაშვილი.

პირველს ნახვაშივე სასწავლებლისა ყოველად-სამღვდელოომ მიაქცია თვისი ყურადღება მოსწავლეთა სიმ-

---

სრულებით დაუბუჟდა, თითები უნებლიე გაეშალა და ხანჯალი თავისთავათ წკრიალით დაეცა ფეხებთან. აქ ქალმა დაუწყო მუდარა, ხვეწნა, აფიცებდა რაც-კი საფიცარი ჰყვანდა, აბრალებდა თავის-თავს, მაგრამ რა საქმე ჰქონდა თავმოყვარეობისგან გაზვიადებულს ნაჩალნიკს ან ხვეწნასთან, ან თხოვნასთან, ოღონდაც თავის მიზნისთვის მიეღწია. ის მოელოდა წუთის, თუმცა უპატიოსნო, მაგრამ მაინც სიამოვნებას და ეს საკმარი იყო, რომ ის დაყრუებულიყო რომელიმე კაცობრიული სიტყვის ჩაგონებისათვის.

მკლავებიდგან გადავიდა ტანზედ და მაგრა მოხვია ხელები—ბრძოლა შეიქმნა უფრო მწარე გაშმაგებული. ქალს ამ დროს, თითქოს, ღონე ემატებოდა გაუპატიოების შიშით და კაცს—კი თავისი უპატიოსნო სურვილის აღსრულების დაახლოებით.

ასე იბრძოდნენ ორნივ, მაგრამ მზაღვეს ჩქარა დაეტყო, რომ თანდა თან ღონე აკლდებოდა და აშკარათ კაცი სჯალდობდა. ძიდევ რამდენიმე წუთი და დასუსტებული, ძლი

ცირეს მაღალს კლასებში, და არც დიდი გონების გამჭრიახობა იყო საჭირო, რომ ამისთანა თვალსაჩინო მოვლენა შეემჩნია. არც იმისთვის იყო საჭირო დიდი გონების გამჭრიახობა, რომ მეხსიერებაში ჩაენერგა მიზეზიც ამ მოვლენისა, (სიმცირისა) მაგრამ, ნათქვამია, თუ კაცს არ უნდა, რიყეზედ ქვას არ დაინახავსო.

Იხილა, რომ მაღალ-სამღვდელოებას როდესაც წინადადებას აძლევს ორის უფროსის კლასების დაკეტაზედ, ყოველად-სამღვდელო თავის აზრის გონივრობის დასამტკიცებლად დარბაისულად საუბრობს დეპუტატებთან იმაზედ, თუ რამდენი ფული დარჩებათ იმათ, უკეთუ ისინი მღვდელ-მთავრის რჩევას მიიღებენ. ჩინებული წყაროები გამოაჩინა მისმა ყოველად-უსამღვდელოესობამ. ეს კრიანოსლის მარცვლებით ანგარიშობს, რომ 1200 მანეთი დარჩება სამღვდელოებას ზედამხედველის ჯამაგირი, 600 მანეთი ზედამხედველის თანაშემწისა, მაშასადამე 1800 მან. ვითომ ქისაში სდებიათ!...

Უმაღლესად დამტკიცებულის წესდებით თვითეული სასულიერო სასწავლებელი უნდა უეჭველად ოთხის კლასიდამ შესდგებოდეს და ორი კლასისთვის არც ყოფილა და არც საკუთარ კომისიას დანიშნენ ახალი წესდების შესადგენად, მემრე ისიც Თელავისა და მისის სამღვდელოების თხოვნით. Ამისთანა თხოვნაზედ, როგორც სამღვდელოება, ისე მათი დამრიგებელი შენიშვნას არას უნდა მოელოდნენ უწ. სინოდიდამ. ქიდეც რომ მიიღოს უწ. სინოდმა სამღვდელოთ ესრეთი უკანონო თხოვნა, მაინც ზედამხედველისა და მისის თანაშემწის ჯამაგირებს Თბილისის სასწავლებელს არ მისცემენ, რადგან ყველა სასწავლებლისთვის უკვე არის გადაჭრილი შტატი. Თელავში ორი კლასიც რომ დარჩეს, მაინც ზედამხედველი მოუნდება, ეხლანდელი იქმნება, თუ სხვა, სულ ერთია, ჯამაგირს ყველა მოითხოვს. თუ ფული დარჩა რამე კლასების დაკეტით, ეს ფული მიიქცევა სახემწიფო ხაზინაში, საიდამაც შტატით დადებული ფული ეძლევათ მასწავლებელს, და ამას Თბილისის სასწავლებელს არავინ გადასცემს. Ოთხ კლასს გარდა სამღვდელოებას შეუძლიან სხვა კლასებიც მოუმატოს, მაგრამ მხოლოდ თავის ჯიბით. Თბილისში მოსწავლეთა რიცხვი იმდენად გამრავლდება მესამე და მეოთხე კლასებში Თელავის მოსწავლეების გადაყვანით, რომ თანასწორე კლასების გახსნა წელსაც დასჭირდება. სამღვდელოებამ უნდა იცოდეს, რომ (параллельные) კლასებში უნდა გახსნან თვით სამღვდელოებამ თავიანთ ხარჯზედ და თვითეულ თორმეტ გაკვეთილზედ გადასდონ ჯამაგირი 900 მ., რადგან აკადემიულთაგანი უნდა იყვნენ ესენი. სახლები და სხვა ხარჯი ამ კლასებისთვის ცალკე იქმნება. Ერთი სიტყვით, ისეთი უგვანი და შეუსაბამო კითხვა იყო აღძრული საეპარქიო ყრილობაზედ, რომ სირცხვილადაც კი უნდა მიგვაჩნდეს, რომ ეპარქიაში ამისთანა კითხვა ითხოვს ბეჭდვით გარკვევას, როდესაც ყოველმა სამღვდელო პირმა უნდა იცოდეს ეს.

ბ.) **Უმეცრება**, როგორც მიზეზი სასწავლიბლის დაკეტისა. წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებას განათლების სურვილის დასაკმაყოფილებლად აქვს ერთად-ერთი სასწავლებელი არა მცირე ხანს, არამედ მთელ საუკუნეზედ მეტი, ამ სასწავლებელს საზოგადოება ისე შეეჩვევა და ისე უყურებს, როგორც თავის ნაშობს შვილს, მაგრამ, ქამთა კითარების გამო, საქმემ ისე მოიტანა, რომ საჭირო ხდება მისი დაკეტა, მოსპობა. Აღსრულება ამისი, მიბრძანეთ, ნაყოფიერ შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაზედ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვით საზოგადოება არ არის ამაში დამნაშავე? Ვგონებ, ესრეთი შთაბეჭდილება შესაზარი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. Ამისთანავე შთაბეჭდილებას ახდენს Თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის გონიერ მცხოვრებლებზედაც. Თელავის გონიერ საზოგადოების თვალში ეს სასწავლებელი მაღლა დგას და რომ ეს სასწავლებელი ყველაფერით მაღლა სდგას სხვა Თელავის სასწავლებლებზედ, ეს თვით თელაველთ კარგათ იციან. Ესრეთი სახელი გუშინდლიდამ არ დაუმსახურებია ამას; ეს პატარა კახის მეფე Ერეკლე მეორის დროს ეკუთვნის. როდესაც 1782 წელში თელაველები დღესასწაულობდნენ სემინარიის გახსნას თავიანთ დედა-ქალაქში, მაშინ არქიმანდრიტმა Ბაიოზმა (გვარათ იყო ნაცვლიშვილი, სიღნაღის მაზრის, ს. მაღაროდამ) უთხრა შესხმა იმ დროს აქ მყოფს ნეკრესელ ეპისკოპოზს Დოსითეოზს (ჩერქეზიშვილს), რომელშიაც, სხვათა შორის Ბაიოზი ეუბნება, რომ ეს ადგილი — Თელავი (ხიმი) შეუჩეველი არ არის ამისთანა დღეობებისაო, რადგან აქ ადრიდგანვე იყო სასწავლებელი ყრმათათვის, სადაც მიიღეთ, ეუბნება Ბაიოზი დოსითეოზს, სწავლა როგორც თქვენ, ისე მრავალთა აქა მყოფთა პირთა. მაშასადამე 1782 წლამდისაც იყო სასწავლებელი, ხოლო ამ დროდგან ყველამ იცის, რომ Თელავში დაარსდა ჩინებულის დღესასწაულის გარდახდით ყველასგან ცნობილი და გაგონილი ესრედ **წოდებული „Თელავის სემიარია“**, რომლის სახელიც ეხლაც არ დავიწყებიათ კახელებს, როდესაც ეხლანდელ სასულიერო სასწავლებლებზე ლაპარაკობენ.

(გაგრძელება)

ნარევი

სადამდის მიაღწევს კაცი, რომელსაც უნდა გაასაღოს თავის სავაჭრო, შეგიძლიან მისვდეთ შემდეგი მოთხრობიდამ კალგუტელი კორრესპონდენტისა: ამას წინათ ამ კალაქში დაიჭირეს ერთი საშიშარი დამნაშავე, განწირული სიკვდილით დასასჯელად. დღესა დასჯისასა, როდესაც ჯალათი ამზადებდა თავის მსხვერპლს უშაფოტისათვის ციხეში, შემოვიდა ერთი კაცი, გუბერნატორისაგან წერილობითი ნება-რთვით, დამნაშავესთან მოსალაპარაკებლად. პატარასან ლაპარაკის შემდეგ ამ უკანასკნელმა წარმოთქვა:

— მაშ თქვენ მისცემთ ჩემს ნათესავებს 10,000 გირვანქა სტერლინგს?

— კაძლევ თავდებად ღმერთს, — იყო პასუხი.

დამნაშავე წაიყვანეს სასჯელის შესასრულებლად.

უშაფოტიდამ ყველა დამნაშავეს აქვს უფლება უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვას. მან ისარგებლა ამ უფლებით და დაიძახა:

— მოისმინეთ და მოიხმარეთ ჩემი ნათქვამი! უკეთესთაგან უკეთესს შოკოლადს ამზადებს ვილიამსი, ლონდონში, პიკადელი!

ამის შემდეგ გაჭყო თოკის ყულფში თავი და დაიწყო პანწიალი

* * *

ინგლისელების ახირებულობა ხომ განთქმულია.

ლორდ ბინგტონს და მის ცოლს

— Არა, არა შენი კვნესამე, არც მინახამს და არც გამიგონია!.. Ორი მოსისხლე ხმალ ამოღებული ერთმანერთზედ რომ მისულიყო, დიაცი თავშალს გაუშლიდა შუაში და მაშინვე გაშველდებოდნენ ერთმანერთს, ესენი კი!... Აღარ გაათავა სიტყვები და ჩაიქნია ხელი.

— Აბა, ქალის გატაცებაც ბევრჯელ მომხდარა, ძალადობაცა, მაგრამ ვისაც გაუტაცნია ცოდათა ზდომებია, თორემ ამისთანა საქმეს ვინ იზამდა? მაგისთანა საქმის ჩამდენს, პირი-მზის მადლმა, მტერი თუ მოკეთე, ყველა მტრათ გედაეკიდებოდა.

— Ესენი-კი დასცინიან! Ბაკვირევებით სთქვა კიდევ ერთმა.

Ამ ლაპარაკში იყვნენ სატუსაღოს კარებთან მოგროვილი მთიულები, როდესაც იასაული მოვიდა და დასძახა.

— რას უდგეხარ, ეა? წამოდით ბეგარა მოვიდა.

— ჩვენ შეშა არ მოუტანეთ ეხლა, ღმერთი აღარა გყავსთ.

— Ბამოიარეთ, გამოიარეთ, ნუ ლაპარაკობთ, თორემ ეხლავე ყაზახები მოელენ და სულ მათრახით ტყავს გაგაძრობენ.

— რაზედ გაგვაძრობენ, რას გვემართლებიან?...

— მაშ ხემწიფეს სამსახური არ უნდა? Ამაყათ დაიძახა ნაცვალმა, თითქოს მართლა ხემწიფის სამსახური უსამართლობაში იყოს.

Ოტა ლაპარაკის შემდეგ, მართლა მოვიდნენ ყაზახები და წაუშინეს მათრახებით ხალხს, რომელიც გაიშალა და წავიდნენ ურმების შესაბმელათ.

— Ურჯულოები ყოფილან, ლომისის მადლმა, ურჯულოები! ხარებს ჩლიქები წასცვივდა ამდენის მუშაობითა და მაგათგან-კი შებრალება აღარ იქნა...

„ჩავცვივდით საგონებელში, როგორც კამბეჩი მორევეში“ — პასუხის მაგიერ შემმღერა ერთმა მთიულმა გაუკრა აპეური ხარს და გადაჭრა სახრე თითქო იმაზედ უნდოდა ყველა ჯავრის ამოყრა...

Ამ ხანში ნაჩალნიკი გამობრძანებულიყო ბალკონზედ და საქართველოში ახლათ შემოღებულ სასმელს (ჩაის) მიირთმევდა. Იმისი პირის სახე რაღაც სულელურს, თავ-მოყვარე სიამოვნებას გამოსთქვამდა. რამდენიმე მთიული შორი ახლო მინდორზედ იდგნენ და ელოდნენ „ბატონს“, (ასე მაშინ ნაჩალნიკს ეძახდნენ) რომელსაც მოწყალება უნდა მოელო და მოესმინა იმათა საჩივარი. ნაჩალნიკი დიდი-ხანია რაცა ხედამდა იმათ, მაგრამ ვითომც მეტის ამაღლებისათვის ხალხის თვალში, მეტს აცდევინებდა. Ბოლოს მოილო მოწყალება და ჰკითხა:

— Ვინა ხართ თქვენა?

— ჩვენ ბედუანთ კახელები გახლავართ, შენი კვნესამე! ქუდის მოხდით უპასუხეს იმათ.

— რა გინდათ?

— Ყაზახები ჩაგვიყენეს შენი კვნესამე და იმათ გაგვატყავეს... Ერბო აღარ შეგვარჩინეს და ყველი, ქათამი და კვერცხი.

— მაშ თქვენ ყაზახებზედა ჰბედავთ ჩივილს? Ყაზახებო! დაიძახა იმან და ამ სიტყვებზედ გამოცვივდნენ ყაზახები, იქვე საყაზახოდგან.

— მათრახები ამათ, მათრახები!

Ბრძანების აღმსრულებელებმაც დაუარეს სამართლის მძებნელ მთიულებს და ჩქარა გაფანტ-გამოფანტეს.

Ის სიამოვნებით უყურებდა ამ სურათს, მაგრამ ეს სიამოვნება ჩქარა ჩაეშალა, რადგანაც მინდორზედ გამოჩნდა ერთი ვიღაცა აფიცერი რამდენიმე ყაზახით.

Ის ჩამოხტა ცხენიდგან, მოვიდა ნაჩალნიკთან და გადასცა რაღაცა პაკეტი. ნაჩალნიკმა გახსნა, წაიკითხა და გაფითრდა, იქ ეწერა ბრძანება; რომლითაც სვიმონა ჩოფიკაშვილი ინიშნებოდა ნაჩალნიკათ შთის ხალხზედ და ამ ძველს ნაჩალნიკს კი ქალაქში იბარებდა უმაღლესი მთავრობა.

Არ გაუელია რამდენიმე წამს, როდესაც ქვეშის დალმართზედ გადმოჩნდნენ რამდენიმე ცხენოსანი და თამამად მოვიდნენ ნაჩალნიკის კარებთან. Ისინი წუნარა ჩამოხტნენ, ამოვიდნენ ნაჩალნიკთან და ციცათ მიესალმნენ იმას. Ეს გახლდათ სვიმონა ჩოფიკაშვილი, ბაგის სახლის კაცი და მოადგილე ძველის ნაჩალნიკისა, რომელსაც ადგილი უნდა ჩაებარებია ამისგან.

(დასასრული პირველი თავისა)

ს. ბოხსუბარიძე.

აქვსთ თავის მდიდარ მამულთან, ერისელთან, პატარა სოფელი სახელად „თეთრი ფერმა“. ეს ფერმა სრულებით შეეფერება თავის სახელს, რადგანაც აქ ყველა შენობები თეთრად არის შეღებული, სალხი დაიარება თეთრ ტანსაცმელში და ყველა პირუტყვები და ფრინველები თეთრი არიან. ძროხები, ცხენები, ძაღლები, მტრედები, ყურდგლები, თრითინები, ბატები, შურთსები, კატები, ქათმები—სულ წმინდა თეთრი ფერისა არიან, ერთი ნაცელა სხვა ფერისა არ მოინახება მათში. ამ ასირებულ პირუტყვების დასასთვის ინგლისის კარალევას მიუმატნია თეთრი ბატკნები და მის შვილს ბრინტ უელსკის—ამ გვარიგე თაგვები და ვირ-თაგვები.

* * *

არა ნაკლები ასირებული სალხი ამერიკანელები არიან.

გაზეთ *New-York Herald*-ში ამ მოკლე სანში დაბეჭდილი იყო შემდეგი განცხადება:

„ვაკუწყებ ჩემ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გუშინ საკვდილმა მომტაცა ცოლი იმ დროს, როდესაც მან ჭშვა ვაყი, რომლისთვისაც ვეძებ ჯან-მრთელ ძიძას, რომ ზარდოს ჩემი შვილი, სანამდისინ არ კიბოვნი ჩემთვის გულითად მეგობარ ქალს, რომელსაც შეეძლება კარგად აქმის წაყვანა ჩემ სხვა-და-სხვა ძვირფას ტილოებს საკაბრო სახლში და შესრულება იმ სამუშაოებისა, რომლითაც სახელ-განთქმულია ქალაქანაზე ჩემი საკაბრო სახლი. განსაკუთრებითი დანიშნულება ჩემი საკაბრო ფირმისა ის არის, რომ შეკვეთილი მუშობა დამზადებული იქნება ყოველთვის თექვსმეტ საათის განმავლობაში, ამ საქმეების მმართველი ქალის მსედველობის ქვეშ, რომელსაც კარგი ჯამაგირი ეძლევა; ვეძებ ამ ადგილისთვის ქალს. ამას გარდა ამ დღეებში დანიშნულია აქ ვაჭრობა დაკლებულ ფასებით, რადგანაც შენობის შეკეთებას და შიგ რესტორანის გახსნას ვაპირებ. მსურველს შეუძლია აგრეთვე დაიქირაოს იქვე ხუთი ოთახი იაფად. მარტო—სულ კაცებს შეუძლიანთ იშოვონ, კარგი პირობებით, სადგომი შეშით წყლით და სადილით.

აი, ეს არის, თუ გინდათ, ერთი სრულით რამოდენიმეს მოკვლა.

განცხადებანი

კანტორა

რუხაძის და კაკაბაძისა

ვაცნობებთ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან გაღებულ ჩვენ მიერ ქ. ფოთს კომისიონი კანტორაშიდ ლუკა რუხაძის მაღაზიაშიდევ ღებულობთ შრომის მსურველის მოთხოვნილებით ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისაა ნაკლები კომისიით.

კომისიის საქმეებს აწარმოებს **მოსე დავითისძე კაკაბაძე**, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

(3—1) ლ. რუხაძე.

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გაღლერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი		ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	—	1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	—	1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	—	1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	—	2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	—	2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	—	3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—17)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეტ სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწუებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., სრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ., ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—19)

ბრიქეტროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

გამოვიდა და ისყიდება

ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და ბრიქეტროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურზე, ბაღის პირდაპირ:

ალექსანდრე

ჭავჭავაძის

ლექსები

ნაწილი პირველი.

ფასი ექვსი შაური.

იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ქართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭ ავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

ბრიგოლ ოლბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (ბურამიანი), თქმული დავით ბურამისშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

ქაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

(5—4)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკა წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—98)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საუკეთესო ბარხსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრანის რომელთაც დაიმსახურეს პარიკის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** ძოელი კონსტიუმი 15 მ. ხვედების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—80)

ინგლისის მაღაზიაში

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(150—150)

მოსახურავი 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეტი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწუებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., სრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინლგისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწუვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწუებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწუვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 ბადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზეი 1 მ.--1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. ბარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახატარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები უველა გვარ ხელისათვის. (15—15)

ჩაის მცოდნე ბირმა და მსურველმა უნდა იეიდოს ჩაი. ბირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ.** და **2 მან.** და შეადაროს ჩაის **1 60 კაპ.** და **3 მან.** უველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტუვიოთ.

(100—12)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და მუთაისს **გერარდის** წიგნის მაღაზიაში ისყიდება

საამწერლო

თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭავჭავაძისგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) ბ—სა, V ფერი ფერს—მადლი დმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩაგიღი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი ბასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოგზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შოკ კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისა (გემრიელი კლეშინი ზეთისა) და სხვ. საუკეთესო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯარის და კაშმ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანს გიარები. (100—98)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Съ 1-го іюля по 1-ое января 1882 года на ежедневную газету

„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“

(четвертый годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб.
Иногороднымъ съ пересылкою. . . . 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера.

(12—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი